შპს „კარიატიდა“

„CARYATID“ LTD



პროექტის ექსპერტიზა

№IR-PE-12-08/24

თბილისი 2024

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ინსპექტირების ანგარიში №A-090/24. 07/08/2024

გაცემის თარიღი: 12.09.2024წელი

ინსპექტირების თარიღი: 07.08.2024÷04.09.2024 წელი

ინპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

ვამტკიცებ,

დირექტორი_____

ზ. გუბელიძე

ინსპექტირების ანგარიში (ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენთიფიკაცია: შპს "ვახუშტი ბაგრატიონის 1" ს.კ 405408107

ხელშეკრულება №A-090/24 (07/08/2024)

ინსპექტირების სფერო: საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირება

ინსპექტირების ამოცანა: ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

თბილისი
2024 წელი

სარჩევი

1.	შესავალი----------	4
1.1	დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ----------	5
2.	ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა ----------	7
3.	გამოკვლევის შედეგები ----------	57
4.	საექსპერტო დასკვნა ----------	59
5.	გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი ----------	60

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

1. შესავალი

სამუშაო შესრულებულია შპს „კარიატიდას“ მიერ, შპს "ვახუშტი ბაგრატიონის 1"-ის (ს.კ 405408107) დაკვეთით (07.08.2024 წ).

სამუშაოს მიზანია ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის შესწავლა, შენობის მზიდი კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელის ანგარიშის შემოწმება და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების №002454 (23.07.2024წ.) მიხედვით, ქ. თბილისში, აგლაძის ქუჩა №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) შ.პ.ს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“-ის მიერ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა განხორციელებულია 2021 წლის 31 დეკემბრის №5752042 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: ობიექტზე დაუსრულებელია სამშენებლო სამუშაოები. ობიექტზე შეცვლილია ფილის კონფიგურაცია ფორმა და გაბარიტი, შეცვლილია კიბის უჯრედების რაოდენობა, მდებარეობა, ფორმა და გაბარიტები, ასევე ლიფტის შახტების მდებარეობა, რაოდენობა და გაბრიტები. შეიცვალა სვეტების და რიგელების გაბარიტი, მდებარეობა და რაოდენობა, შეცვლილია კაპიტალური მზიდი კედლების რაოდენობები. ნაწილობრივ შეიცვალა სართულის ფილებს შორის სიმაღლეები, ∇-3,79 ნიშნულზე ფიქსირდება რამოდენიმე დონის ცვლილება. ∇-12,04 ნიშნულზე „a-q“ ღერძებში შემცირდა შენობის სიგრძე, ამ ნიშნულზე პერიმეტრზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა და გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია დერეფნების ფორმა და გაბარიტები. შეიცვალა ბინების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების რაოდენობა და გაბარიტები. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და გაბარიტები.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დაწყების შემდეგ პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები, შეიცვალა გეგმარება. კორექტირებულ პროექტში შეტანილი იქნა ყველა ის ცვლილება, რომელიც აღნიშნულია ქ. თბილისის მუნიციპალური ინსპექციის

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

დადგენილებაში. ამასთან ერთად თავდაპირველად შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი გაანგარიშებული იყო სამშენებლო უბნის გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგების გაუთვალისწინებლად. ამჟამად კორექტირებული პროექტის მიხედვით შესრულებული შენობების საანგარიშო კომპიუტერული მოდელების გაანგარიშებები შესრულდა სამშენებლო ტერიტორიის გეოფიზიკური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით, რამაც ასევე გავლენა მოახდინა მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციების გეომეტრიულ ზომებზე და მათი დაარმატურების პარამეტრებზე.

შენობის მიმდებარე ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება და გრუნტის ლოკალური აგებულების შესწავლა გეოფიზიკური საძიებო მეთოდებით შესრულებულია საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის მიერ (თავმჯდომარე ნ. ღლონტი, შემსრულებლები: ვ. არაბიძე, მ. გიგიბერია). საანგარიშო სპექტრი კლდოვან გრუნტზე მიღებულია აღნიშნული კვლევის საფუძველზე. შერჩეულია და დამუშავებულია 7 აქსელეროგრამა, რაზეც გაანგარიშებულია შენობის კომპიუტერული მოდელი.

1.1 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია

- ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შედეგები, შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგ(ებ)ი: ა. პასიკაშვილი; მ. ყიფშიძე;
- ქ. თბილისი, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე სეისმური პროფილების აგება, სეისმურობის დაზუსტება ლოკალური პარამეტრების გათვალისწინებით, საპროექტო შენობისათვის საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტების შერჩევა, დრეკადი და საანგარიშო რეაქციის სპექტრების აგება. შემსრულებელ(ებ)ი: ვ. არაბიძე, მ. გიგიბერია;

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი შემსრულებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორ(ებ)ი: ი. ურიდია;
- ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო კომპიუტერული მოდელი და ანგარიში, შემსრულებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ალ. ლებანიძე;
- ქალაქ თბილისის მუნიოციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილება №7210450, 09.09.2024წ (იხ. დანართი 1);
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება №002454, 23.07.2024წ (იხ. დანართი 1).

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

2. ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება №002454-ში (23.07.2024წ.) ასახული დარღვევები (იხ. დანართი 1).

ინსპექტირების მიზანია: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის შესწავლა, შენობის მზიდი კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელის ანგარიშის შემოწმება და შესაბამისი საპროექტო დასკვნის მომზადება. ამასთან ერთად შემოწმებული იქნა, ასახულია თუ არა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება №002454-ით (იხ. დანართი 1) გამოვლენილი დარღვევები.

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დავალების, საინჟინრო ნაწილის, სამშენებლო ტერიტორიის გეოფიზიკური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე.

სამშენებლო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2021 წლის აპრილ-მაისში შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ. გამოკვლევის მიზანი იყო დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით. პირობით ნიშნულს ∇±0,00 შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული ∇408,20.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, შვავი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება. აქედან გამომდინარე, ტერიტორია მდგრადია და საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა ტერიტორიის ცალკეულ უბანზე ტექნოგენური გრუნტის შედარებთ დიდი სიმძლავრე (5-6მ), რომელიც სეისმურად III კატეგორიას მიეკუთვნება და სეისმურად არახელსაყრელ გრუნტს წარმოადგენს, რაც უნდა ჩაითვალოს არახელსაყრელ ფაქტორად სეისმური თვალსაზრისით. ჰიდროლოგიური თვალსაზრისით ასევე არახელსაყრელი ფაქტორია გრუნტის წყლების მაღალი დონე (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში).

ჩამოთვლილი არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, ნორმატიული დოკუმენტის [9], მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების სვეტების ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები. ტოპო საფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპო გეგმა 1:500 ზომსადარით. ტოპო გეგმაზე დატანილია გეოლოგიური გამონამუშევრების განლაგება, ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა.

უბნის ამგები გრუნტები შედგება ექვსი ფენისაგან, რომლებშიც გამოიყო ექვსი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- I სგე – ტექნოგენური/ნაყარი გრუნტი (ფენა 1);
- II სგე – თიხნარი (ფენა 2);
- III სგე – მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- IV სგე – ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული (ფენა 4);
- V სგე – ძირითადი ქანი – გამოფიტული (ფენა 5);
- VI სგე – ძირითადი ქანი – სუსტად გამოფიტული (ფენა 6).

პროექტის მიხედვით შენობის დაფუძნება განხორციელებულია V სგე-ზე (ფენა 5) მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის საშუალებით, რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: ბუნებრივი სიმკვრივე $\rho=2,18$გ/სმ^3; პუასონის კოეფიციენტი $\mu=0,25$; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c.N}=40$კგძ/სმ^2; საგების კოეფიციენტი $K=60$კგძ/სმ^3.

ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3] შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით, სამშენებლო უბნის საანგარიშო სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით რაიმე ტიპის საშიში მოვლენის ჩასახვა და განვითარება მოსალოდნელია მხოლოდ ტექნოგენური ფაქტორებით, კერძოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ფერდის უკონტროლო ჩამოჭრის და კლიმატური ფაქტორების თანხვედრის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში შემუშავებულია ქვაბულის ფერდოს გამაგრება, სპეციალურად შემუშავებული ქვაბულის პროექტის მიხედვით (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. ქვაბულის პროექტი).

ქვაბულის პროექტში, რომელიც შესრულებულია ნორმატიული დოკუმენტი [7]-ის მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასვნა), გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქვაბულის ფერდების მდგრადობას და უსაფთხოებას (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. ქვაბულის პროექტი).

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

უნდა აღინიშნოს, რომ ქვაბულის პროექტში შენობების ფუძეში განვითარებული ძაბვების გავლენისგან მეზობელი ნაგებობის დაცვის და ქვაბულის ფერდოს მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშენებლო უბნის პერიმეტრზე ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ფარდა (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. ქვაბულის პროექტი). ხიმინჯების დიამეტრი Ø=600მმ-ა, ხიმინჯების სიგრძე ცვალებადია L=7750-11450მმ. ხიმინჯების თავები შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის 600×500 (მმ) მართკუთხა განივი კვეთის შემკრავი კოჭით (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი). ფერდის დამჭერ კონსტრუქციაში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი.

მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი (ს/კ 01.13.07.002.097) შედგება C1, C2, C3, D და E ბლოკებისაგან.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მოთხოვნების გათვალისწინებით შენობის დაფუძნება პროექტის მიხედვით განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანტანიანი საძირკვლების ფილის საშუალებით.

საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკებს გაჩნიათ საძირკველი, რომელიც წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანტანიანი ფილის სახით (ბეტონის კლასი B30). საძირკვლის ფილის სისქე C1, C2, C3 ბლოკებისათვის 1200მმ-ია. D და E ბლოკებისათვის 600მმ. საძირკვლის ფილა დაფუძნებულია გამოფიტულ ძირითად ქანზე (V სგე-ზე (ფენა 5) ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა). საძირკვლის ფილის ქვეშ მოწყობილია 100მმ სისქის ბეტონის მომზადება.

C1 ბლოკი

პროექტის მიხედვით შენობას გააჩნია 14 მიწისზედა (∇ ±0.00 ნიშნულის ზევით) და სამი მიწისქვეშა სართული (∇ ±0.00 ნიშნულის ქვევით). სართულებს შორის ვერტიკალური კომუნიკაცია ხორციელდება კიბის და ლიფტის საშუალებით.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მონოლითური რკინაბეტონის სივრცულ კარკასს წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომელიც თავის თავზე იღებს სტატიკურ და დინამიკურ (სეისმური) დატვირთვებს. შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 500×800მმ, 500× 700მმ, 500×,600მმ, 500×500მმ, 500×400მმ, 400×400მმ, 300×500მმ, 500×1235მმ, 500×1150მმ, 500×1700მმ. რომბის განიკვეთის სვეტები 500×500 მმ და Г ფორმის სვეტები გაბარიტული ზომებით 500×500 მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600მმ, 400×600მმ, 300×600მმ, 200×600მმ, 500×900მმ; 250×600მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბის ჩანები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- შენობის საძირკვლები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის ფილის საშუალებით, სისქით H=1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის C1 ბლოკის კორექტირებული პროექტის საანგარიშო კომპიუტერული მოდელის სტრუქტურული ანგარიში შემოწმდა ავტომატიზირებული პროგრამული კომპლექს „LIRA SAPR 2022“ - ში (ლიცენზიის №1 Д/3863), საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების და ტექნიკური

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

რეგლამენტების [1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8] გათვალისწინებით. საანგარიშო კომპიუტერული მოდელი სივრცითია (ნახ. 1) და იგი საკმარისი სიზუსტით აღწერს საპროექტო შენობების მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას. შენობების მზიდი კონსტრუქციები მოდელირებულია №10, №41, №42, №44, №56 სასრული ელემენტებით. მათი სიხისტეები და ფუძე-გრუნტის საწყისი მონაცემები აღებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაციიდან.



ნახ. 1. სივრცითი საანგარშო მოდელი

საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შედგენილია საქართველოში მოქმედ [1, 2, 3, 4, 6, 10] ნორმატიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ტექნიკური რეგლამენტი [4]-ის მიხედვით, მშენებლობის რაიონის კლიმატური პირობების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

- აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ..... -23^{0}C;

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 40^{0}C;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა ……..……..... 0.85 კპა (86.7 კგძ/მ²)
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა……..…… 0.5 კპა (51 კგძ/მ²)
- ნალექების მაქსიმალური დონე 24 საათის განმავლობაში ..... 147 მმ
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე .....… 0 (სმ).

პროექტირების ნორმები [1]-ის, დანართი 3-ის თანახმად, განსახილველი შენობა პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით მიეკუთვნება II კლასის ნაგებობას. ამ შემთხვევაში საიმედობის კოეფიციენტი ნაგებობის პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით g_n=0.95.

სამშენებლო მასალები

ა) ბეტონი B30 კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=32500 მპა,
საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე R_b=17.0 მპა);

ბ) არმატურა A500c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=190000 მპა,
საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე და კუმშვაზე
Rs=Rsc=459 მპა, ჭრაზე Rsw=300 მპა);

არმატურა A240c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=210000 მპა,
საანგარიშო წინაღობა: კუმშვაზე Rsc=459 მპა;
გაჭიმვაზე Rs=230 მპა; ჭრაზე Rsw=180 მპა).

საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმები [6]-ის შესაბამისად, განსახილველ შენობის კონსტრუქციებზე მოსული დატვირთების საიმედობის კოეფიციენტი g_t ტოლია.

A. მუდმივი დატვირთვებისთვის

A 1. ნაყარი გრუნტი …….....1.15;

A 2. რკ/ბ-ის კონსტრუქციები 1,1;

A 3. ლითონის კონსტრუქციები 1,05;

A 4. იატაკები 1,2;

A 5. სტაციონარული დანადგარები …….....…….1.05;

A 6. ტიხრები.....1.1;

A 7. ვიტრაჟი.....1.1.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

B. დროებითი დატვირთვებისთვის

B 1. თანაბრად განაწილებული დატვირთვა < 200 კგძ/მ² 1.3;

B 2. თანაბრად განაწილებული დატვირთვა ≥ 200 კგძ/მ² 1.2;

C. თოვლის დატვირთვისთვის 1,4;

D. ქარის დატვირთვისთვის 1,4;

გამოყენებული ნორმატიული დატვირთვები

ა) მუდმივი დატვირთვა:

- ყველა მზიდი კონსტრუქციის წონა;
- იატაკის წონა (200კგ/მ²);
- ტიხრების წონა (150კგ/მ²);
- კარკასის შევსების წონა რიგელებზე (1500 კგ/მ).

ბ) დროებითი დატვირთვა:

- საცხოვრებელი ზონა (150 კგ/მ²),
- ვესტიბული, ფოიე, დერეფანი, კიბის უჯრედი (300კგ/მ²),
- პარკინგის ზონა (500 კგ/მ²),
- თოვლის დატვირთვა (51 კგ/მ²),
- ქარის დატვირთვა (86.7 კგ/მ²).

გ) სეისმიკა

განხილულია სეისმური ძალის ზემოქმედების ხუთი მიმართულება:

X ღერძის გასწვრივ, Y ღერძის გასწვრივ, Z ღერძის გასწვრივ, X ღერძის მიმართ 45^0-იანი კუთხით და X ღერძის მიმართ 135^0-იანი კუთხით.

სეისმური დატვირთვა გამოითვლება ფორმულით $S= k_0k_1 k_2 k_3 k_\psi A Q \beta \eta$

სადაც $k_0=1.0$, $k_1=0.35$, $k_2=1.5$, $k_3=1.0$, $k_\psi=1.0$, $A=0.17$

შენობის მიმდებარე ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება და გრუნტის ლოკალური აგებულების შესწავლა გეოფიზიკური საძიებო მეთოდებით შესრულებულია საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის მიერ (თავმჯდომარე ნ. ღლონტი, შემსრულებლები: ვ. არაბიძე, მ. გიგიბერია). საანგარიშო სპექტრი კლდოვან გრუნტზე

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მიღებულია აღნიშნული კვლევის საფუძველზე. შერჩეულია და დამუშავებულია 7 აქსელეროგრამა, რაზეც გაანგარიშებულია შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი.

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით არის მეორე. გათვალისწინებულია საკუთარი რხევის 30 ფორმა. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი შეადგენს 93%-ს.

თანწყობის კოეფიციენტები

დინამიკური დატვირთვების სიდიდეთა ფორმირებისთვის საანგარიშო სტატიკური დატვირთვები მრავლდება შემდეგ თანწყობის კოეფიციენტებზე ([1] პუნქტი 4.1).

- მუდმივი - 0.9;
- დროებითი ხანგრძლივი - 0.8;
- დროებითი ხანმოკლე - 0.5.

სტატიკური და დინამიკური ძალვების შეჯამება

ელემენტებში ჯამური ძალვები მიღებულია სტატიკური დატვირთვისგან გამოწვეული ძალვების შეკრებით დინამიკური დატვირთვისგან მიღებულ შესაბამის ძალვებთან. დინამიკური დატვირთვები არის ნიშანცვლადი და ურთიერთ გამომრიცხავი, რისი გათვალისწინებაც ხდება ძალვების საანგარიშო შეხამების ანგარიშისას.

ძალვები სეისმური დატვირთვისგან გამოითვლება ფორმულით

$$N=\sqrt{\sum_{i=1}^{k_f} N_i^2}$$

N_i არის რხევის i -ური ფორმის შესაბამისი ძალვა;

K_f რხევის ფორმების რაოდენობა.

გაანგარიშების შედეგები:

შენობის მთლიანი წონა Q=35688ტ (მათ შორის მუდმივი დატვირთვისგან $Q_{მუდ}$=30583ტ, დროებითი დატვირთვისგან $Q_{დრ}$=5105ტ).

გადამჭრელი ძალა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ Vx=1244ტ;

Y ღერძის გასწვრივ Vy=1150ტ.

რხევის საკუთარი პერიოდი: X ღერძის გასწვრივ Tx=1,96 წმ;

Y ღერძის გასწვრივ Ty=1,84წმ.

მაქსიმალური გადახრა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ fx=149,35 მმ (ნახ. 3);

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

Y ღერძის გასწვრივ fy=246,77 მმ (ნახ. 4).

მაქსიმალური ძაბვა ფუძეში: R_0=3.66 კგ/სმ² (ნახ. 5, 6).



ნახ. 2. დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, ”კრენი“)

მაქსიმალური გადახრა სტატიკური დატვირთვისგან გაანგარიშების მიხედვით ტოლია f_x^{max}=11.26მმ-ის (ნახ. 2) და იგი არ აღემატება მის მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობას H/500=46900/500=93.8 მმ ნორმატიული დოკუმენტის [5]-ის მოთხოვნების მიხედვით.

f_x^{max}=11.26მმ < $[f^{max}]$= H/500=46900/500=93.8 მმ.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 3 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახ. 4 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 5 ძაბვა ფუძეში მუდმივი დატვირთვისგან (კგ/სმ)



ნახ. 6 ძაბვა ფუძეში დროებითი დატვირთვისგან (კგ/სმ)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ C1 ბლოკის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შედგენილია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების [1, 2, 3, 4, 6, 10] შესაბამისად. ის საკმარისი სიზუსტით აღწერს C1 ბლოკის შენობის მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას სტატიკურ და სეისმურ დატვირთვებზე.

პროექტში შენობის C1 ბლოკის მზიდი კორექტირებული კონსტრუქციების დაარმატურების სქემების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შენობის დაარმატურების პარემეტრები და მათი განლაგება შეესაბამება გაანგარიშებით მიღებულ შედეგებს. მუშა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მოყვანილ რკინაბეტონის კონსტრუქციების კვანძების სქემებში არმატურის ჩაანკერების სიგრძეები და გადაბმის უბნებში არმატურის გადადების სიგრძეები შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტოდ წარმოდგენილი, შენობის C1 ბლოკის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი გაფორმებულია მაღალ დონეზე. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები, კონსტრუქციების დაარმატურებები, დამახასიათებელი დეტალები და კვანძები, მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, რომლებიც შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით.

შენობის C1 ბლოკის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და მზიდი კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შენობა მთლიანობაში მდგრადია, როგორც სტატიკური დატვირთვების, ასევე სეისმური ზემოქმედების მიმართ. ნაგებობის ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები და მათი დაარმატურების პარამეტრები აკმაყოფილებს სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

C2 ბლოკი

პროექტის მიხედვით შენობას გააჩნია 22 მიწისზედა (∇ ±0.00 ნიშნულის ზევით) და სამი მიწისქვეშა სართული (∇ ±0.00 ნიშნულის ქვევით). სართულებს შორის ვერტიკალური კომუნიკაცია ხორციელდება კიბის და ლიფტის საშუალებით.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობის **C2 ბლოკი** მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო კავშირებიან სისტემას წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომელიც თავის თავზე იღებს სტატიკურ და დინამიკურ (სეისმური) დატვირთვებს. შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 600×1000მმ, 500×1100მმ, 500×1000მმ, 500×900მმ, 500×800მმ, 500×700მმ, 500×600მმ, 500×500მმ, 400×500მმ, 400×400მმ, 600× 800მმ, 600×900მმ, 600×1100მმ, 600×700მმ, 600×600მმ. რომბის განიკვეთის სვეტები 500×500 მმ და Г ფორმის სვეტები გაბარიტული ზომებით 500×500 მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600მმ, 400×600მმ, 500×1100მმ, 200×600მმ, 600×600მმ, 500×800მმ, 600×800მმ, 400×800 მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბის ჩანები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- შენობის საძირკვლები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის ფილის საშუალებით, სისქით H=1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

საანგარიშო კომპიუტერული მოდელი სივრცითია (ნახ. 7) და იგი საკმარისი სიზუსტით აღწერს საპროექტო შენობების მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას. შენობების მზიდი კონსტრუქციები მოდელირებულია №10, №41, №42, №44, №56 სასრული ელემენტებით. მათი სიხისტეები და ფუძე-გრუნტის საწყისი მონაცემები აღებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაციიდან.



ნახ. 7. სივრცითი საანგარშო მოდელი

საანგარიშო კომპიუტერული მოდელი (ნახ. 6) შედგენილია საქართველოში მოქმედ [1, 2, 3, 4, 6, 10] ნორმატიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ტექნიკური რეგლამენტი [4]-ის მიხედვით, მშენებლობის რაიონის კლიმატური პირობების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

- აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ..... -23^{0}C;
- აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა ..... + 40^{0}C;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა ……..……..... 0.85 კპა (86.7 კგძ/მ²)
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა……..…… 0.5 კპა (51 კგძ/მ²)
- ნალექების მაქსიმალური დონე 24 საათის განმავლობაში ..... 147 მმ
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე .....… 0 (სმ).

პროექტირების ნორმები [1]-ის, დანართი 3-ის თანახმად, განსახილველი შენობა პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით მიეკუთვნება II კლასის ნაგებობას. ამ შემთხვევაში საიმედობის კოეფიციენტი ნაგებობის პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით g_n=0.95.

სამშენებლო მასალები

ა) ბეტონი B30 კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=32500 მპა,
საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე R_b=17.0 მპა);

ბ) არმატურა A500c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=190000 მპა,
საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე და კუმშვაზე
Rs=Rsc=459 მპა, ჭრაზე Rsw=300 მპა);

არმატურა A240c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=210000 მპა,
საანგარიშო წინაღობა: კუმშვაზე Rsc=459 მპა;
გაჭიმვაზე Rs=230 მპა; ჭრაზე Rsw=180 მპა).

საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმები [6]-ის შესაბამისად, განსახილველ შენობის კონსტრუქციებზე მოსული დატვირთების საიმედობის კოეფიციენტი γ_t ტოლია.

A. მუდმივი დატვირთვებისთვის

A 1. ნაყარი გრუნტი …….....1.15;

A 2. რკ/ბ-ის კონსტრუქციები 1,1;

A 3. ლითონის კონსტრუქციები 1,05;

A 4. იატაკები 1,2;

A 5. სტაციონარული დანადგარები …….....…….1.05;

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

A 6. ტიხრები.....1.1;

A 7. ვიტრაჟი.....1.1.

B. დროებითი დატვირთვებისთვის

B 1. თანაბრად განაწილებული დატვირთვა < 200 კგძ/მ² 1.3;

B 2. თანაბრად განაწილებული დატვირთვა ≥ 200 კგძ/მ² 1.2;

C. თოვლის დატვირთვისთვის 1,4;

D. ქარის დატვირთვისთვის 1,4;

გამოყენებული ნორმატიული დატვირთვები

ა) მუდმივი დატვირთვა:

- ყველა მზიდი კონსტრუქციის წონა;
- იატაკის წონა (200კგ/მ²);
- ტიხრების წონა (150კგ/მ²);
- კარკასის შევსების წონა რიგელებზე (1500 კგ/მ).

ბ) დროებითი დატვირთვა:

- საცხოვრებელი ზონა (150 კგ/მ²),
- ვესტიბული, ფოიე, დერეფანი, კიბის უჯრედი (300კგ/მ²),
- პარკინგის ზონა (500 კგ/მ²),
- თოვლის დატვირთვა (51 კგ/მ²),
- ქარის დატვირთვა (86.7 კგ/მ²).

გ) სეისმიკა

განხილულია სეისმური ძალის ზემოქმედების ხუთი მიმართულება:

X ღერძის გასწვრივ, Y ღერძის გასწვრივ, Z ღერძის გასწვრივ, X ღერძის მიმართ 45^0-იანი კუთხით და X ღერძის მიმართ 135^0-იანი კუთხით.

სეისმური დატვირთვა გამოითვლება ფორმულით $S= k_0k_1 k_2 k_3 k_\psi A Q \beta \eta$

სადაც $k_0=1.0$, $k_1=0.35$, $k_2=1.5$, $k_3=1.0$, $k_\psi=1.0$, $A=0.17$

შენობის მიმდებარე ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება და გრუნტის ლოკალური აგებულების შესწავლა გეოფიზიკური საძიებო მეთოდებით შესრულებულია საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის მიერ (თავმჯდომარე ნ. ღლონტი,

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

შემსრულებლები: ვ. არაბიძე, მ. გიგიბერია). საანგარიშო სპექტრი კლდოვან გრუნტზე მიღებულია აღნიშნული კვლევის საფუძველზე. შერჩეულია და დამუშავებულია 7 აქსელეროგრამა, რაზეც გაანგარიშებულია შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი.

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით არის მეორე. გათვალისწინებულია საკუთარი რხევის 30 ფორმა. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი შეადგენს 94%-ს.

თანწყობის კოეფიციენტები

დინამიკური დატვირთვების სიდიდეთა ფორმირებისთვის საანგარიშო სტატიკური დატვირთვები მრავლდება შემდეგ თანწყობის კოეფიციენტებზე ([1] პუნქტი 4.1).

- მუდმივი - 0.9;
- დროებითი ხანგრძლივი - 0.8;
- დროებითი ხანმოკლე - 0.5.

სტატიკური და დინამიკური ძალვების შეჯამება

ელემენტებში ჯამური ძალვები მიღებულია სტატიკური დატვირთვისგან გამოწვეული ძალვების შეკრებით დინამიკური დატვირთვისგან მიღებულ შესაბამის ძალვებთან. დინამიკური დატვირთვები არის ნიშანცვლადი და ურთიერთ გამომრიცხავი, რისი გათვალისწინებაც ხდება ძალვების საანგარიშო შეხამების ანგარიშისას.

ძალვები სეისმური დატვირთვისგან გამოითვლება ფორმულით

$$N=\sqrt{\sum_{i=1}^{k_f} N_i^2}$$

N_i არის რხევის i -ური ფორმის შესაბამისი ძალვა;

K_f რხევის ფორმების რაოდენობა.

გაანგარიშების შედეგები:

შენობის მთლიანი წონა Q=55813ტ (მათ შორის მუდმივი დატვირთვისგან $Q_{მუდ}$=47618ტ, დროებითი დატვირთვისგან $Q_{დრ}$=8195ტ).

გადამჭრელი ძალა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ Vx=1960ტ;

Y ღერძის გასწვრივ Vy=1987ტ.

რხევის საკუთარი პერიოდი: X ღერძის გასწვრივ Tx=2.86 წმ;

Y ღერძის გასწვრივ Ty=2.48 წმ.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მაქსიმალური გადახრა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ fx=249.31 მმ (ნახ. 9);

Y ღერძის გასწვრივ fy=259.79 მმ (ნახ. 10);

მაქსიმალური ძაბვა ფუძეში: R_0=6.2 კგ/სმ² (ნახ. 11, 12).



ნახ. 8. დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, ”კრენი“)

მაქსიმალური გადახრა სტატიკური დატვირთვისგან გაანგარიშების მიხედვით ტოლია f_x^{max}=31.11მმ-ის (ნახ. 7) და იგი არ აღემატება მის მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობას H/500=73310/500=146.62 მმ ნორმატიული დოკუმენტის [5]-ის მოთხოვნების მიხედვით.

f_x^{max}=31.116მმ < $[f^{max}]$= H/500=73310/500=146.62 მმ.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 9 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახ.10. დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 11 ძაბვა ფუძეში მუდმივი დატვირთვისგან (კგ/სმ²)



ნახ. 12. ძაბვა ფუძეში დროებითი დატვირთვისგან (კგ/სმ²)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ C2 ბლოკის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შედგენილია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების [1, 2, 3, 4, 6, 10] შესაბამისად. ის საკმარისი სიზუსტით აღწერს C2 ბლოკის შენობის მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას სტატიკურ და სეისმურ დატვირთვებზე.

პროექტში შენობის C2 ბლოკის მზიდი კორექტირებული კონსტრუქციების დაარმატურების სქემების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შენობის დაარმატურების პარემეტრები და მათი განლაგება შეესაბამება გაანგარიშებით მიღებულ შედეგებს. მუშა პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილში მოყვანილ რკინაბეტონის კონსტრუქციების კვანძების სქემებში არმატურის ჩაანკერების სიგრძეები და გადაბმის უბნებში არმატურის გადადების სიგრძეები შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

გამონაკლის წარმოადგენს სვეტები :

- ∇-11,670 ნიშნულზე „20-ლ“, „20-დ'“, „24-ლ“, „18-დ′“, „18-ზ'“, „17-ე'“, „17-ზ'“;
- ∇-7,710 ნიშნულზე „17-ე'“, „18-დ'“;
- ∇-3,420 ნიშნულზე „16-ე'“, „18-დ′“, „20-დ'“
- ∇ -0,420 და -0,120 ნიშნულებზე „16-ე'“, „18-დ′“, „20-დ'“, „26-ბ'“, 26-გ′“
- ∇+4,005 ნიშნულზე „20-დ'“;
- ∇+7,305 ნიშნულზე „17-ე'“, „20-დ'“;
- ∇+10,605 ნიშნულზე „17-ე'“, „18-დ'“, „20-დ'“.

რომლებშიც დაარმატურების პარამეტრები ნაკლებია განგარიშებით მიღებულ შედეგებზე. რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორების გამო. მშენებლობის დაწყების შემდეგ პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები (იხ. დანართი 1), გაიზარდა სართულიანობა და ამასთან ერთად თავდაპირველად შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი გაანგარიშებული იყო სამშენებლო უბნის გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგების გაუთვალისწინებლად. ამჟამად გაანგარიშებები შესრულდა სამშენებლო ტერიტორიის გეოფიზიკური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით. ამიტომ, შენობის C2

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ბლოკის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სვეტები კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით მოჩარჩოებულია 140×140×10(მმ) კუთხოვანებით და −10×100(მმ) ზოლოვანი ფირფიტებით მოწყობილი ჯავშნით. სვეტების მოჩარჩოება შესრულებულია ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების [14, 15] მოთხოვნების დაცვით.

უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტოდ წარმოდგენილი, შენობის C2 ბლოკის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი გაფორმებულია მაღალ დონეზე. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები, კონსტრუქციების დაარმატურებები, დამახასიათებელი დეტალები და კვანძები, მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, რომლებიც შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით.

შენობის C2 ბლოკის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და მზიდი კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შენობა მთლიანობაში მდგრადია, როგორც სტატიკურ დატვირთვების, ასევე სეისმური ზემოქმედების მიმართ. ნაგებობის ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები და მათი დაარმატურების პარამეტრები აკმაყოფილებს სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს.

<u>C3 ბლოკი</u>

პროექტის მიხედვით შენობას გააჩნია 22 მიწისზედა (∇ ±0.00 ნიშნულის ზევით) და სამი მიწისქვეშა სართული (∇ ±0.00 ნიშნულის ქვევით). სართულებს შორის ვერტიკალური კომუნიკაცია ხორციელდება კიბის და ლიფტის საშუალებით.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო კავშირებიან სისტემას წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომელიც თავის თავზე იღებს სტატიკურ და დინამიკურ (სეისმური) დატვირთვებს. შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 500×1100მმ, 500×1000მმ, 500×900მმ, 500×800მმ, 500×700მმ, 500×600მმ, 500×500მმ, 400×500მმ, 400×400მმ, 200მ× 200მმ, 600×900მმ, 500×1950მმ, 400×1250მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600მმ, 400×600მმ, 200×600მმ, 300×600მმ, 250×500მმ, 250×600მმ, 200×645მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბის ჩანები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- შენობის საძირკვლები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის ფილის საშუალებით, სისქით H=1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

საანგარიშო კომპიუტერული მოდელი სივრცითია (ნახ. 13) და იგი საკმარისი სიზუსტით აღწერს საპროექტო შენობების მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას. შენობების მზიდი კონსტრუქციები მოდელირებულია №10, №41, №42, №44, №56 სასრული ელემენტებით. მათი სიხისტეები და ფუძე-გრუნტის საწყისი მონაცემები აღებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაციიდან.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 13. სივრცითი საანგარშო მოდელი

საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შედგენილია საქართველოში მოქმედ [1, 2, 3, 4, 6, 10] ნორმატიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ტექნიკური რეგლამენტი [4]-ის მიხედვით, მშენებლობის რაიონის კლიმატური პირობების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

- აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ..... -23^{0}C;
- აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 40^{0}C;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა ……..……..... 0.85 კპა (86.7 კგძ/მ²)
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა……..…… 0.5 კპა (51 კგძ/მ²)
- ნალექების მაქსიმალური დონე 24 საათის განმავლობაში ..... 147 მმ
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე .....… 0 (სმ).

პროექტირების ნორმები [1]-ის, დანართი 3-ის თანახმად, განსახილველი შენობა პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით მიეკუთვნება II კლასის ნაგებობას. ამ შემთხვევაში საიმედობის კოეფიციენტი ნაგებობის პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით γ_n=0.95.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

სამშენებლო მასალები

ა) ბეტონი B30 კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=32500 მპა,
საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე R_b=17.0 მპა);

ბ) არმატურა A500c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=190000 მპა,
საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე და კუმშვაზე
Rs=Rsc=459 მპა, ჭრაზე Rsw=300 მპა);

არმატურა A240c კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული E=210000 მპა,
საანგარიშო წინაღობა: კუმშვაზე Rsc=459 მპა;
გაჭიმვაზე Rs=230 მპა; ჭრაზე Rsw=180 მპა).

საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმები [6]-ის შესაბამისად, განსახილველ შენობის კონსტრუქციებზე მოსული დატვირთების საიმედობის კოეფიციენტი γ_t ტოლია.

A. მუდმივი დატვირთვებისთვის

A 1. ნაყარი გრუნტი …….....1.15;

A 2. რკ/ბ-ის კონსტრუქციები 1,1;

A 3. ლითონის კონსტრუქციები 1,05;

A 4. იატაკები 1,2;

A 5. სტაციონარული დანადგარები …….....……1.05;

A 6. ტიხრები.....1.1;

A 7. ვიტრაჟი.....1.1.

B. დროებითი დატვირთვებისთვის

B 1. თანაბრად განაწილებული დატვირთვა < 200 კგძ/მ^2 .....1.3;

B 2. თანაბრად განაწილებული დატვირთვა ≥ 200 კგძ/მ^2 .....1.2;

C. თოვლის დატვირთვისთვის 1,4;

D. ქარის დატვირთვისთვის 1,4;

გამოყენებული ნორმატიული დატვირთვები

ა) მუდმივი დატვირთვა:

- ყველა მზიდი კონსტრუქციის წონა;

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- იატაკის წონა (200კგ/მ²);
- ტიხრების წონა (150კგ/მ²);
- კარკასის შევსების წონა რიგელებზე (1500 კგ/მ).

ბ) დროებითი დატვირთვა:

- საცხოვრებელი ზონა (150 კგ/მ²),
- ვესტიბული, ფოიე, დერეფანი, კიბის უჯრედი (300კგ/მ²),
- პარკინგის ზონა (500 კგ/მ²),
- თოვლის დატვირთვა (51 კგ/მ²),
- ქარის დატვირთვა (86.7 კგ/მ²).

გ) სეისმიკა

განხილულია სეისმური ძალის ზემოქმედების ხუთი მიმართულება:

X ღერძის გასწვრივ, Y ღერძის გასწვრივ, Z ღერძის გასწვრივ, X ღერძის მიმართ 45^0-იანი კუთხით და X ღერძის მიმართ 135^0-იანი კუთხით.

სეისმური დატვირთვა გამოითვლება ფორმულით $S= k_0k_1 k_2 k_3 k_\psi A Q \beta \eta$

სადაც $k_0=1.0$, $k_1=0.35$, $k_2=1.5$, $k_3=1.0$, $k_\psi=1.0$, $A=0.17$

შენობის მიმდებარე ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება და გრუნტის ლოკალური აგებულების შესწავლა გეოფიზიკური საძიებო მეთოდებით შესრულებულია საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის მიერ (თავმჯდომარე ნ. ღლონტი, შემსრულებლები: ვ. არაბიძე, მ. გიგიბერია). საანგარიშო სპექტრი კლდოვან გრუნტზე მიღებულია აღნიშნული კვლევის საფუძველზე. შერჩეულია და დამუშავებულია 7 აქსელეროგრამა, რაზეც გაანგარიშებულია შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი.

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით არის მეორე. გათვალისწინებულია საკუთარი რხევის 30 ფორმა. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი შეადგენს 93%-ს.

თანწყობის კოეფიციენტები

დინამიკური დატვირთვების სიდიდეთა ფორმირებისთვის საანგარიშო სტატიკური დატვირთვები მრავლდება შემდეგ თანწყობის კოეფიციენტებზე ([1] პუნქტი 4.1).

- მუდმივი - 0.9;

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- დროებითი ხანგრძლივი - 0.8;
- დროებითი ხანმოკლე - 0.5.

სტატიკური და დინამიკური ძალვების შეჯამება

ელემენტებში ჯამური ძალვები მიღებულია სტატიკური დატვირთვისგან გამოწვეული ძალვების შეკრებით დინამიკური დატვირთვისგან მიღებულ შესაბამის ძალვებთან. დინამიკური დატვირთვები არის ნიშანცვლადი და ურთიერთ გამომრიცხავი, რისი გათვალისწინებაც ხდება ძალვების საანგარიშო შეხამების ანგარიშისას.

ძალვები სეისმური დატვირთვისგან გამოითვლება ფორმულით

$$N=\sqrt{\sum_{i=1}^{k_f} N_i^2}$$

N_i არის რხევის i -ური ფორმის შესაბამისი ძალვა;

K_f რხევის ფორმების რაოდენობა.

გაანგარიშების შედეგები

შენობის მთლიანი წონა Q=52092ტ (მათ შორის მუდმივი დატვირთვისგან $Q_{მუდ}$=46688ტ, დროებითი დატვირთვისგან $Q_{დრ}$=6404ტ).

გადამჭრელი ძალა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ Vx=1775ტ;

Y ღერძის გასწვრივ Vy=1820ტ.

რხევის საკუთარი პერიოდი: X ღერძის გასწვრივ Tx=3,01 წმ;

Y ღერძის გასწვრივ Ty=2,34 წმ.

მაქსიმალური გადახრა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ fx=314,16 მმ (ნახ. 15);

Y ღერძის გასწვრივ fy=202,69 მმ (ნახ. 16);

მაქსიმალური ძაბვა ფუძეში: R_0=7,2 კგ/სმ^2 (ნახ. 17, 18).

შენობის საანგარიშო კომპიუტერულ სივრცით მოდელს აქვს შემდეგი სახე:

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 14. დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, ”კრენი“)

მაქსიმალური გადახრა სტატიკური დატვირთვისგან გაანგარიშების მიხედვით ტოლია f_x^{max}=20,68მმ-ის (ნახ. 14) და იგი არ აღემატება მის მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობას H/500=73310/500=146.62 მმ ნორმატიული დოკუმენტის [5]-ის მოთხოვნების მიხედვით.

$$f_x^{max}=20,686\text{მმ} < [f^{max}]= \text{H/500=73310/500=146.62 მმ.}$$

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 15 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახ. 16 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



ნახ. 17 ძაბვა ფუძეში მუდმივი დატვირთვისგან (კგ/სმ²)



ნახ. 18 ძაბვა ფუძეში დროებითი დატვირთვისგან (კგ/სმ2)

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ C3 ბლოკის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შედგენილია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების [1, 2, 3, 4, 6, 10] შესაბამისად. ის საკმარისი სიზუსტით აღწერს C3 ბლოკის შენობის მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას სტატიკურ და სეისმურ დატვირთვებზე.

კორექტირებულ პროექტში შენობის C3 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების დაარმატურების სქემების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შენობის დაარმატურების პარემეტრები და მათი განლაგება შეესაბამება გაანგარიშებით მიღებულ შედეგებს. მუშა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მოყვანილ რკინაბეტონის კონსტრუქციების კვანძების სქემებში არმატურის ჩაანკერების სიგრძეები და გადაბმის უბნებში არმატურის გადადების სიგრძეები შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტოდ წარმოდგენილი, შენობის C3 ბლოკის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი გაფორმებულია მაღალ დონეზე. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები, კონსტრუქციების დაარმატურებები, დამახასიათებელი დეტალები და კვანძები, მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, რომლებიც შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით.

- ქალაქ თბილისის მუნიოციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილება №7210450, 09.09.2024წ (იხ. დანართი 3);
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება №002454, 23.07.2024წ (იხ. დანართი 3).

3. გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება – „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
    - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
- ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);

2. სამშენებლო ნორმები და წესები „სამშენებლო კლიმატოლოგია“, (პნ 01.05-08);
3. ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი;
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. <<კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი>>, თბილისი 1992წ.;
5. ГОСТ 22690-88. Бетоны. Определение прочности механическими методами неразрушающего контроля, Москва,1988г.;
6. ГОСТ 18105-2010. БЕТОНЫ. Правила контроля и оценки прочности. (EN 206-1:000, NEQ); Москва, 2010 г.;
7. Пособие по обследованию строительных конструкции здании. АО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 1997 г.;
8. Снип 52.01.2003 „Бетонные и железобетонные конструкции“, Москва 2004 г. ;
9. Снип 1.02.07-87 „Инженерные изискания для строительства“, Москва 1987г.;
10. ГОСТ 31937-2011, Здания и Сооружения. Правила обследования и мониторинга технического состояния М., 2011 г.;
11. СП 20.13330.2016 „Нагрузки и воздействия“ (Актуализированная редакция СНиП 2.01.07-85*), Москва 2016;
12. DGZfP B3 Merkblatt für elektrochemische Potentialmessungen zur Ermittlung von Bewehrungsstahlkorrosion in Stahlbetonwerken, German, 01 Apr 2008;
13. BS 1881-204:1988. Testing concrete. Recommendations on the use of electromagnetic covermeters.;

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

14. BS EN 12504-2012. Testing concrete in structures. Non-destructive testing. Determination of rebound number.; part 1-4;

15. BS 1881-201:1986 – Testing concrete. Guide to the use of non-destructire metods of test for hardered concrete;

16. ACI 214.4R-03 Guide for obtaining cores and intepretinge compressive strength Results;

17. Каталог конструктивных решении по усилению и восстановлению строительных конструкций зданий и сооружений. ОАО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 2009 г.;

18. СТО НОСТРОЙ/НОП 2.7.143.-2014 „Повышуние сейсмостойкости существующих многоэтажных каркасных здании. Проектирование и строительство. Правила, контроль и требования к результатам работ.

4. გამოყენებული ხელსაწყოების ჩამონათვალი

1. ლაზერული მანძილმზომი Fischer darex 60 მ დიაპაზონით;
2. ხელსაწყო Elcometer 331 - Covermeters არმატურის დიამეტრის, მისი განლაგების სქემის და ბეტონის დამცავი შრის სისქის განსაზღვრისათვის;
3. ხელსაწყო Proceq - Pundit lab რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბზარების გახსნის სიღრმის განსაზღვ რისათვის;
4. ამსხლეტი ჩაქუჩი NOVATEST-ი ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლების დადგენისათვის;
5. მიკროსკოპი WF 10X, ბზარების გახსნის სიდიდის განსაზღვრისათვის;
6. ციფრული ფოტოაპარატი.

5. ინსპექტირების მიზანი

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ინსპექტირების მიზანია თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა, მისი ტექნიკური მდგომარეობის და პროექტთან შესაბამისობის შეფასება. გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოკვლევას საფუძვლად დაედო ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობების პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი და ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა მოიცავს:

1. შენობების ვიზუალური გამოკვლევა კონსტრუქციულ ელემენტებში ხილული დეფექტების და დაზიანებული ზონების ფოტოფიქსაცია;
2. შენობების კონსტრუქციული სქემის დადგენა;
3. შენობების მზიდი კონსტრუქციების (კედლები, სვეტები, რიგელები, გადახურვის კონსტრუქციები) დეტალური გამოკვლევა;
4. გამოკვლევით მიღებული შედეგების საპროექტო მონაცემებთან შედარება და პროექტთან შესაბამისობის დადგენა;
5. ნაგებობების დაზიანების ხარისხისა და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
6. გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე საექსპერტო დასკვნის მომზადება.

6. გამოკვლევის თანმიმდევრობა

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

შენობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა განხორციელდა ეტაპობრივად. გამოკვლევის პირველ ეტაპზე სამუშაოები განხორციელდა უშუალოდ ობიექტზე, საველე პირობებში, კერძოდ, ობიექტზე შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

ა) საველე სამუშაოები:

1. ნაგებობების ვიზუალური დათვალიერება, კონსტრუქციების გეომეტრიული ზომების გადამოწმება და დეტალური გამოკვლევისათვის მზიდი კონსტრუქციების დაფიქსირება;
2. ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების და კონსტრუქციული ელემენტების აპარატურულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევა;
3. რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის დადგენა ურღვევი კონტროლის მეთოდით [5, 6, 14, 15];
4. რკინაბეტონის კონსტრუქციებში არმატურის განლაგების სქემების და დიამეტრების განსაზღვრა ურღვევი კონტროლის მეთოდით [13];
5. ურღვევი კონტროლის მეთოდით მიღებული შედეგების გადამოწმების მიზნით კონსტრუქციებში არმატურის განლაგების სქემების და დიამეტრების განსაზღვრა კვანძების გახსნის გზით;

ბ) კამერალური სამუშაოები:

1. შენობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების საპროექტო მონაცემებთან შედარება და პროექტთან შესაბამისობის დადგენა;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების №002454 (23.07.2024წ.) მიხედვით, გამოვლენილი დარღვევებით ნაწარმოები მშენებლობის პროექტირების ნორმებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენა;
3. შენობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის საფუძველზე მისი დაზიანების ხარისხის და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
4. შენობების მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობის შესახებ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ჩატარებული სამუშაოების შედეგების კამერალური დამუშავების საფუძველზე მომზადებული იქნა საექსპერტო დასკვნა, რომელიც შედგება ტექსტური ნაწილისგან, ფოტომასალისგან, ცხრილებისგან და ოქმებისგან.

7 გამოსაკლევი ობიექტის მოკლე აღწერა

გამოსაკლევი ობიექტები მდებარეობს ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.07.002.097) დანიშნულების მიხედვით ის საცხოვრებელ კომპლექსს წარმოადგენს. საცხოვრებელი კომპლექსი შედგება მშენებარე C1, C2, C3 ბლოკებისაგან (სურ. 1, 2, 3,4).

C1 ბლოკი 17 სართულიანია სამი მიწისქვეშა სართულით. მიწისქვეშა სართულებზე განთავსებულია კომერციული ფართები და ავტოსადგომები, შენობის დანარჩენ სართულებზე საცხოვრებელი და საოფისე ფართებია განთავსებული. ამჟამად აშენებულია C1 ბლოკის 3 მიწისქვეშა და 11 მიწის ზედა სართული.

C2 ბლოკი 25 სართულიანია სამი მიწისქვეშა სართულით. კომერციული ფართები და ავტოსადგომები მიწისქვეშა სართულებზეა განთავსებული, შენობის დანარჩენ სართულებზე კი საოფისე და საცხოვრებელი ფართებია. ამჟამად აშენებულია C2 ბლოკის 3 მიწის ქვეშა და 17 მიწის ზედა სართული.

C3 ბლოკი 25 სართულიანია სამი მიწისქვეშა სართულით. ავტოსადგომები და კომერციული ფართები მიწისქვეშა სართულებზეა განთავსებული, შენობის დანარჩენ სართულებზე საცხოვრებელი და საოფისე ფართებია. ამჟამად აშენებულია C3 ბლოკის სამი მიწის ქვეშა და 6 მიწის ზედა სართული.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების №002454 (23.07.2024წ.) მიხედვით, ქ. თბილისში, აგლაძის ქუჩა №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) შ.პ.ს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“-ის მიერ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა განხორციელებულია 2021 წლის 31 დეკემბრის №5752042 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: ობიექტზე დაუსრულებელია სამშენებლო სამუშაოები. ობიექტზე შეცვლილია ფილის კონფიგურაცია

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ფორმა და გაბარიტი, შეცვლილია კიბის უჯრედების რაოდენობა, მდებარეობა, ფორმა და გაბარიტები, ასევე ლიფტის შახტების მდებარეობა, რაოდენობა და გაბრიტები. შეიცვალა სვეტების და რიგელების გაბარიტი, მდებარეობა და რაოდენობა, შეცვლილია კაპიტალური მზიდი კედლების რაოდენობები. ნაწილობრივ შეიცვალა სართულის ფილებს შორის სიმაღლეები, ∇-3,79 ნიშნულზე ფიქსირდება რამოდენიმე დონის ცვლილება. ∇-12,04 ნიშნულზე „a-q“ ღერძებში შემცირდა შენობის სიგრძე, ამ ნიშნულზე პერიმეტრზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა და გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია დერეფნების ფორმა და გაბარიტები. შეიცვალა ბინების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების რაოდენობა და გაბარიტები. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და გაბარიტები.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დაწყების შემდეგ პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები, შეიცვალა გეგმარება. კორექტირებულ პროექტში შეტანილი იქნა ყველა ის ცვლილება, რომელიც აღნიშნულია ქ. თბილისის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებაში. ამასთან ერთად თავდაპირველად შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი გაანგარიშებული იყო სამშენებლო უბნის გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგების გაუთვალისწინებლად. ამჟამად კორექტირებული პროექტის მიხედვით შესრულებული შენობების საანგარიშო კომპიუტერული მოდელების გაანგარიშებები შესრულდა სამშენებლო ტერიტორიის გეოფიზიკური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით, რამაც გავლენა მოახდინა მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციების გეომეტრიულ ზომებზე და მათი დაარმატურების პარამეტრებზე.

წინამდებარე გამოკვლევას საფუძვლად დაედო უკვე კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ზემოთ აღნიშნული ცვლილებები. არსებული ნაგებობების პროექტთან შესაბამისობის დადგენისათვის, კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგები შედარებული იქნა უკვე კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

8. ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა

8.1 ნაგებობის დაფუძნების და კონსტრუქციული სქემის აღწერა

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალსართულიანი შენობების მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დავალების, საინჟინრო ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევის შედეგების საფუძველზე.

სამშენებლო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2021 წლის აპრილ-მაისში შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ. გამოკვლევის მიზანი იყო დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით. პირობით ნიშნულს ∇±0,00 შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული ∇408,20.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, შვავი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება. აქედან გამომდინარე, ტერიტორია მდგრადია და საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა ტერიტორიის ცალკეულ უბანზე ტექნოგენური გრუნტის შედარებთ დიდი სიმძლავრე (5-6მ), რომელიც სეისმურად III კატეგორიას მიეკუთვნება და სეისმურად არახელსაყრელ გრუნტს წარმოადგენს, რაც უნდა ჩაითვალოს არახელსაყრელ ფაქტორად სეისმური თვალსაზრისით. ჰიდროლოგიური თვალსაზრისით ასევე არახელსაყრელი ფაქტორია გრუნტის წყლების მაღალი დონე (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში).

ჩამოთვლილი არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, ნორმატიული დოკუმენტის [9], მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების სვეტების ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები. ტოპო საფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპო გეგმა 1:500 ზომსადარით. ტოპო გეგმაზე დატანილია გეოლოგიური გამონამუშევრების განლაგება, ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა.

უბნის ამგები გრუნტები შედგება ექვსი ფენისაგან, რომლებშიც გამოიყო ექვსი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- I სგე _ ტექნოგენური/ნაყარი გრუნტი (ფენა 1);
- II სგე – თიხნარი (ფენა 2);
- III სგე – მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);
- IV სგე – ძირითადი ქანი _ ძლიერ გამოფიტული (ფენა 4);
- V სგე – ძირითადი ქანი _ გამოფიტული (ფენა 5);
- VI სგე – ძირითადი ქანი _ სუსტად გამოფიტული (ფენა 6).

პროექტის მიხედვით შენობის დაფუძნება განხორციელებულია V სგე-ზე (ფენა 5), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: ბუნებრივი სიმკვრივე $\rho=2,18$გ/სმ^3; პუასონის კოეფიციენტი $\mu=0,25$; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{C.N}=40$კგძ/სმ^2. საგების კოეფიციენტი $K=60$კგძ/სმ^3.

ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3] შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით, სამშენებლო უბნის საანგარიშო სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მოთხოვნების გათვალისწინებით შენობის დაფუძნება პროექტის მიხედვით განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილის საძირკვლების საშუალებით.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკებს გააჩნიათ საერთო საძირკველი, რომელიც წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის 1200მმ სისქის მთლიანტანიანი ფილის სახით (ბეტონის კლასი B30). საძირკვლის ფილა დაფუძნებულია გამოფიტულ ძირითად ქანზე (V სგე-ზე (ფენა 5) ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა). საძირკვლის ფილის ქვეშ მოწყობილია 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10).

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობის **C1 ბლოკი** მონოლითური რკინაბეტონის სივრცულ ჩარჩოს წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომლის კედლის შევსება გავლენას არ ახდენს კარკასის სიხისტეზე.

C1 ბლოკის შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

- საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 500× 800მმ, 500× 700მმ, 500× 600მმ, 500×500მმ, 500×400მმ, 400×400მმ, 300×500მმ, 500×1235მმ, 500×1150მმ, 500×1700 მმ. რომბის განიკვეთის სვეტები 500×500 მმ და Г ფორმის სვეტები გაბარიტული ზომებით 500×500 მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600მმ, 400×600მმ, 300×600მმ, 200×600მმ, 500×900მმ, 250×600მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, კიბის ჩანების სისქე 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობის **C2 ბლოკი** მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო კავშირებიან სისტემას წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომლის კედლის შევსება გავლენას არ ახდენს კარკასის სიხისტეზე.

C2 ბლოკის შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

- საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 600×1000, 500×1100, 500×1000, 500×900, 500×800, 500×700, 500×600, 500×500, 400×500, 400×400, 600მ× 800, 600×900, 600×1100, 600×700, 600×600(მმ). რომბის განიკვეთის სვეტები 500×500 მმ და Г ფორმის სვეტები გაბარიტული ზომებით 500×500 მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600, 400×600, 500×1100, 200×600, 600×600, 500×800, 600×800, 400×800 (მმ) (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, კიბის ჩანების სისქე 180მმ (ბეტონის კლასი B30);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობის **C3 ბლოკი** მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო კავშირებიან სისტემას წარმოადგენს ხისტი კვანძებით, რომლის კედლის შევსება გავლენას არ ახდენს კარკასის სიხისტეზე.

C3 ბლოკის შენობის ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციული ელემენტებით:

- საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით1200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომელთა განივი კვეთების ზომებია: 500×1100, 500×1000, 500×900, 500×800, 500×700, 500×600, 500×500, 400×500, 400×400, 200მ× 200, 600×900, 500×1950, 400×1250(მმ) (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, განივი კვეთით 500×600, 400×600, 200×600, 300×600, 250×500 250×600, 200×645(მმ) (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, სისქით 200მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, სისქით 300მმ (ბეტონის კლასი B30);
- მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, კიბის ჩანების სისქე 180მმ (ბეტონის კლასი B30);
- კარკასის კედლების შევსება და ტიხრები მოწყობილია მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, მარკით M75, დუღაბის მარკა M50.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

8.2 ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური და დეტალური გამოკვლევა

ნაგებობის ვიზუალური გამოკვლევის ძირითადი მიზანია მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში ხილული დეფექტების და დაზიანებების გამოვლენა, დეტალური გამოკვლევისათვის დაზიანებული ზონების დაფიქსირება. რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების დაზიანების ხარისხი და მათი ზეგავლენა ნაგებობების მზიდუნარიანობაზე.

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ნაგებობების C1, C2 და C3 ბლოკების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური და დეტალური გამოკვლევის შედეგები და მათი ანალიზი, თითეულის ცალცალკე. გამოკლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეფასებული იქნა მზიდი კონსტრუქციების პროექტთან შესაბამისობა, მისი ტექნიკური მდგომარეობა და მდგრადობა.

გამოსაკლევი შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკლევა მოხდა ურღვევი კონტროლის მეთოდების გამოყენებით. ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლების დადგენა განხორციელდა ამსხლეტი ჩაქუჩის NOVATEST-ის გამოყენებით, [გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების [5, 6, 14, 15] მოთხოვნათა დაცვით.

ხელსაწყო Elcometer 331 Covermeters-ის საშუალებით, ურღვევი კონტროლის მეთოდით, გამოკვლეული იქნა შენობის რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაარმატურების პარამეტრები. განისაზღვრული იქნა მონოლითური რკინაბეტონის კედლებში სართულშუა გადახურვის ფილებში, სვეტებში, კედლებში, დიაფრაგმებში და რიგელებში (სურ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11) არმატურის დიამეტრები, მათი განლაგების სქემები და ბეტონის დამცავი შრის სისქე.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ბლოკი C1

მშენებარე ბლოკი C1 შენობის მზიდ კონსტრუქციებზე ბზარები, დეფორმაციები, ან რაიმე სხვა ტიპის დაზიანებები, რომლებიც გამოწვეულია საძირკვლების არათანაბარი ჯდომით, არ ფიქსირდება.

მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემოწმდა გამოსაკვლევი ობიექტის ბლოკი C1-ის მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები. დადგინდა სვეტებისა და რიგელების განივი კვეთის ზომები, გადახურვის ფილების და კედლებისა სისქეები. დადგინდა, რომ შენობის კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრია შესაბამისობაშია საპროექტო მონაცემებთან (იგულისხმება კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი).

C1 ბლოკის შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად მზიდ კონსტრუქციებზე სვეტებზე, რიგელებზე, გადახურვის ფილებზე და კედლებზე რაიმე ტიპის დაზიანება არ შეინიშნება. აღნიშნულ რკინაბეტონის კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება ბზარები, ჩამოტეხილი ნაწიბურები, დაზიანებული ბეტონის დამცავი შრეები, არასაკმარისი ვიბრირებით გამოწვეული ბეტონის განშრევებული ზონები, მუშა არმატურის გაშიშვლებული უბნები.

გამონაკლისს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტები: „კ-6“ ∇-7,71 ნიშნულზე (სურ. 13), „ნ-15“ ∇+4,005 ნიშნულზე (სურ. 14) და მონოლითური რკინაბეტონის რიგელი „15, ნ′-ჟ“ ∇-3,82 ნიშნულზე (სურ. 15), სადაც აღინიშნება ბეტონის დამცავი შრის დაზიანება გაშიშლებულია მუშა არმატურა. რამოდენიმე უბანზე კონსტრუქციებში ბეტონის განშრევებული ზონები შელესილია მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით (სურ. 16, 17, 18).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბლოკი C1-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის შესწავლა განხორციელდა ურღვევი კონტროლის მეთოდით ამსხლეტი ჩაქუჩის NOVATEST-ის გამოყენებით (სურ.19, 20 ,21 ,22, 23, 24) გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების [5, 6, 14, 15] მოთხოვნათა დაცვით. გამოკვლევის შედეგები მოყვანილია ცხრილ №1-ში (დანართი 1). ცხრილი №1-ის შედეგების

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ გამოსაკლევი შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის საშუალო სიმტკიცე იცვლება დიაპაზონში 34,4~44,8მპა. **შესაბამისად ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბლოკი C1-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.**

მშენებლობის პროცესში ბეტონის ხარისხის მონიტორინგს ატარებდა აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორია „შპს საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ (აკრედიტაციის მოწმობის № GAC – TL-0208). საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოყვანილია დანართი 2-ში. დანართი 2-ის მიხედვითაც ბლოკი C1-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.

როგორც ვხედავთ ბეტონის სიმტკიცის ურღვევი კონტროლის მეთოდით შესწავლით მიღებული შედეგები (იხ. დანართი 1, ცხრილი №1) ემთხვევა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს (იხ. დანართი 2). აქედან გამომდინარე **შეიძლება დავასკვნათ, რომ ბლოკი C1-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი, რაც შეესაბამება საპროექტო მოთხოვნებს.**

ხელსაწყო Elcometer 331 Covermeters-ის საშუალებით, ურღვევი კონტროლის მეთოდით, გამოკვლეული იქნა ბლოკი C1-ის რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაარმატურების პარამეტრები. განისაზღვრული იქნა მონოლითური რკინაბეტონის კედლებში სართულშუა გადახურვის ფილებში, სვეტებში, კედლებში და რიგელებში (სურ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11) არმატურის დიამეტრები, მათი განლაგების სქემები და ბეტონის დამცავი შრის სისქე. **გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებარე C1 ბლოკის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლები (ბეტონის კლასი) და დაარმატურების პარამეტრები (მუშა არმატურის დიამეტრები და მათი განლაგების სქემა) აკმაყოფილებს საპროექტო მოთხოვნებს.**

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

უნდა აღინიშნოს, რომ ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლეული იქნა C1 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების საერთო რაოდენობის 20% - ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს [1-დანართი 3]-ის დანართი 2, პუნქტი 3-ის მოთხოვნებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, C1 ბლოკის მზიდი კონსტრუქციები არ არის დაზიანებული, გამონაკლისს წარმოადგენს რამოდენიმე უბანი, სადაც აღინიშნება უმნიშვნელო (ზედაპირული) დაზიანებები, რომლებიც არავითარ გავლენას არ ახდენს შენობის მზიდუნარიანობაზე. ამიტომ **გამოსაკვლევი ობიექტის C1 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები).**

გამოსაკვლევი შენობის C1 ბლოკის მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციები სახელმძღვანელო დოკუმენტ [7]-ის მიხედვით ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

ამრიგად, ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის C1 ბლოკის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები შესრულებულია პროექტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ნაგებობა მდგრადია სტატიკური და სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ.

ბლოკი C2

ბლოკი C2 შენობის მზიდ კონსტრუქციებზე ბზარები, დეფორმაციები, ან რაიმე სხვა ტიპის დაზიანებები, რომლებიც გამოწვეულია საძირკვლების არათანაბარი ჯდომით, არ ფიქსირდება.

მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემოწმდა გამოსაკვლევი ობიექტის ბლოკი C2-ის მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები. დადგინდა სვეტებისა და რიგელების განივი კვეთის ზომები, გადახურვის ფილების და კედლებისა სისქეები შესაბამისობაშია

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

საპროექტო მონაცემებთან (იგულისხმება კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი).

C2 ბლოკის შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად მზიდ კონსტრუქციებზე სვეტებზე, რიგელებზე, გადახურვის ფილებზე, დიაფრაგმებზე და კედლებზე რაიმე ტიპის დაზიანება არ შეინიშნება. აღნიშნულ რკინაბეტონის კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება ბზარები, ჩამოტეხილი ნაწიბურები, დაზიანებული ბეტონის დამცავი შრეები, არასაკმარისი ვიბრირებით გამოწვეული ბეტონის განშრევებული ზონები, მუშა არმატურის გაშიშვლებული უბნები.

გამონაკლისს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმა „18, კ′-დ“ კიბის უჯრედში ∇+10,60 ნიშნულზე (სურ. 25), სადაც აღინიშნება ბეტონის დამცავი შრის დაზიანება გაშიშვლებულია მუშა არმატურა. რამოდენიმე უბანზე კონსტრუქციებში ბეტონის განშრევებული ზონები შელესილია მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით (სურ. 26, 27).

ამასთან ერთად მონოლითური რკინაბეტონის კედლებზე „დ, 23-24“ , „27, კ-ზ′ “ და „ა′, 25-27“ ∇-11,67 ნიშნულზე აღინიშნება მცირე გახსნილობის ბზარები, კედლის შუა ნაწილში. ბზარების საზომი სპეციალური სახაზავის Elkometer 143 Crack Width ruler გამოყენებით, განსაზღვრული იქნა ბზარების გახსნის სიდიდეები. დადგინდა, რომ ბზარების გახსნის მნიშვნელობები აღნიშნულ კონსტრუქციებში არ აღემატება 0,25მმ, რაც დასაშვებია ნორმატიული დოკუმენტის [8], 6.4.5 პუნქტის მიხედვით.

ურღვევი კონტროლის მეთოდით, ულტრაბგერითი ხელსაწყო Proceq - Pundit lab -ის გამოყენებით, განისაზღვრა კონსტრუქციის ტანში ბზარების გავრცელების სიღრმე. გამოვლინდა, რომ ზემოთ აღნიშნულ რიგელებში ბზარების გავრცელების სიღრმე იცვლება ინტერვალში 10~15მმ. რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბზარები ფილების ტანში ვრცელდება მხოლოდ საკიდებამდე. აქეგან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშული ბზარები კონსტრუქციების მზიდუნარიანობაზე გავლენას არ მოახდენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბლოკი C2-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის შესწავლა განხორციელდა ურღვევი კონტროლის

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მეთოდით ამსხლეტი ჩაქუჩის NOVATEST-ის გამოყენებით (სურ. 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35) გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების [5, 6, 14, 15] მოთხოვნათა დაცვით. გამოკვლევის შედეგები მოყვანილია ცხრილ №2-ში (დანართი 1). ცხრილის შედეგების ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ გამოსაკლევი შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის საშუალო სიმტკიცე იცვლება დიაპაზონში 34,7~44,7მპა. **შესაბამისად ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბლოკი C2-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.**

მშენებლობის პროცესში ბეტონის ხარისხის მონიტორინგს ატარებდა აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორია „შპს საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ (აკრედიტაციის მოწმობის № GAC – TL-0208). საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოყვანილია დანართი 2-ში. დანართი 2-ის მიხედვითაც ბლოკი C2-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.

როგორც ვხედავთ ბეტონის სიმტკიცის ურღვევი კონტროლის მეთოდით შესწავლით მიღებული შედეგები (იხ. დანართი 1, ცხრილი №2) ემთხვევა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს (იხ. დანართი 2). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ბლოკი C2-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი, რაც შეესაბამება საპროექტო მოთხოვნებს.**

ხელსაწყო Elcometer 331 Covermeters-ის საშუალებით, ურღვევი კონტროლის მეთოდით, გამოკვლეული იქნა ბლოკი C2-ის რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაარმატურების პარამეტრები. განისაზღვრული იქნა მონოლითური რკინაბეტონის კედლებში სართულშუა გადახურვის ფილებში, სვეტებში, კედლებში, დიაფრაგმებში და რიგელებში (სურ. 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43) არმატურის დიამეტრები, მათი განლაგების სქემები და ბეტონის დამცავი შრის სისქე. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებარე მრავალბინიანი კომპლექსის შენობის მონოლითური

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

რკინაბეტონის კონსტრუქციები დაარმატურებულია პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად.

გამონაკლის წარმოადგენს სვეტები :

- ∇-11,670 ნიშნულზე „20-ლ“, „20-დ'“, „24-ლ“, „18-დ′“, „18-ზ'“, „17-ე'“, „17-ზ'“;
- ∇-7,710 ნიშნულზე „17-ე'“, „18-დ'“;
- ∇-3,420 ნიშნულზე „16-ე'“, „18-დ'“, „20-დ'“
- ∇ -0,420 და -0,120 ნიშნულებზე „16-ე'“, „18-დ'“, „20-დ'“, „26-ბ'“, 26-გ'“
- ∇+4,005 ნიშნულზე „20-დ'“;
- ∇+7,305 ნიშნულზე „17-ე'“, „20-დ'“;
- ∇+10,605 ნიშნულზე „17-ე′“, „18-დ'“, „20-დ'“.

რომლებშიც დაარმატურების პარამეტრები ნაკლებია განგარიშებით მიღებულ შედეგებზე. ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლევის შედეგად აღნიშნულ სვეტებში რეალურად არსებული მუშა არმატურის განივი კვეთის ჯამური ფართობი ნაკლებია საანგარიშო კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებით მიღებულ საჭირო ფართობზე. რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორების გამო. მშენებლობის დაწყების შემდეგ პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები და ამასთან ერთად თავდაპირველად შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი გაანგარიშებული იყო სამშენებლო უბნის გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგების გაუთვალისწინებლად. ამჟამად გაანგარიშებები შესრულდა სამშენებლო ტერიტორიის გეოფიზიკური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით. ამიტომ აღნიშნული სვეტები, გაძლიერების მიზნით, პროექტის მიხედვით მოჩარჩოებულია 140×140×10(მმ) კუთხოვანებით და −10×100(მმ) ზოლოვანი ფირფიტებით, ნორმატიული დოკუმენტების [17, 18] მოთხოვნების დაცვით. უნდა ითქვას, რომ რეალურად აღნიშნული სვეტები არ არის მოჩარჩოებული. როგორც ვიცით მშენებლობის პროცესი არ არის დამთავრებული და მათი მოჩარჩოება გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში. **მოჩარჩოების შემდეგ შენობის C2 ბლოკის მზიდი კონსტრუქციები, მასზე სართულების დაშენების შემდეგაც, დააკმაყოფილებს სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს. შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება მათი მდგრადობა.**

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

უნდა აღინიშნოს, რომ ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლეული იქნა C2 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების საერთო რაოდენობის 20% - ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს [1-დანართი 3]-ის დანართი 2, პუნქტი 3-ის მოთხოვნებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, C2 ბლოკის მზიდი კონსტრუქციები არ არის დაზიანებული, გამონაკლისს წარმოადგენს რამოდენიმე უბანი, სადაც აღინიშნება უმნიშვნელო (ზედაპირული) დაზიანებები და ბზარები, რომელთა გახსნილობაც დასაშვებია ნორმატიული დოკუმენტის [8], 6.4.5 პუნქტის მიხედვით და არავითარ გავლენას არ ახდენს შენობის მზიდუნარიანობაზე. ამიტომ **გამოსაკვლევი ობიექტის C2 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები).**

გამოსაკვლევი შენობის C2 ბლოკის მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციები ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას [7].

ამრიგად, ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.07.002.097) შენობის C2 ბლოკის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები შესრულებულია კორექტირებული პროექტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ნაგებობა მდგრადია სტატიკური და სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ.

ბლოკი C3

ბლოკი C3 შენობის მზიდ კონსტრუქციებზე ბზარები, დეფორმაციები, ან რაიმე სხვა ტიპის დაზიანებები, რომლებიც გამოწვეულია საძირკვლების არათანაბარი ჯდომით, არ ფიქსირდება.

მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემოწმდა გამოსაკვლევი ობიექტის ბლოკი C3-ის მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები. დადგინდა სვეტებისა და რიგელების განივი

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

კვეთის ზომები, გადახურვის ფილების და კედლებისა სისქეები შესაბამისობაშია საპროექტო მონაცემებთან (იგულისხმება კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი).

C3 ბლოკის შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად მზიდ კონსტრუქციებზე სვეტებზე, რიგელებზე, გადახურვის ფილებზე, დიაფრაგმებზე და კედლებზე რაიმე ტიპის დაზიანება არ შეინიშნება. აღნიშნულ რკინაბეტონის კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება ბზარები, ჩამოტეხილი ნაწიბურები, დაზიანებული ბეტონის დამცავი შრეები, არასაკმარისი ვიბრირებით გამოწვეული ბეტონის განშრევებული ზონები, მუშა არმატურის გაშიშვლებული უბნები.

უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე უბანზე რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის განშრევებული ზონები შელესილია მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით (სურ. 44, 45).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბლოკი C3-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის შესწავლა განხორციელდა ურღვევი კონტროლის მეთოდით ამსხლეტი ჩაქუჩის NOVATEST-ის გამოყენებით (სურ. 46, 47, 48, 49, 50, 51, 52) გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების [5, 6, 14, 15] მოთხოვნათა დაცვით. გამოკვლევის შდეგები მოყვანილია ცხრილ № 3-ში (დანართი 1). ცხრილის შედეგების ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ გამოსაკლევი შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის საშუალო სიმტკიცე იცვლება დიაპაზონში 34,2~45,9მპა. **შესაბამისად ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბლოკი C3-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.**

მშენებლობის პროცეში ბეტონის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებდა აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორია „შპს საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ (აკრედიტაციის მოწმობის № GAC – TL-0208). საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოყვანილია დანართი 2-ში. დანართი 2-ის მიხედვითაც ბლოკი C3-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

როგორც ვხედავთ ბეტონის სიმტკიცის ურღვევი კონტროლის მეთოდით შესწავლით მიღებული შედეგები (იხ. დანართი 1, ცხრილი №3) ემთხვევა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს (იხ. დანართი 2). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ბლოკი C3-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი, რაც შეესაბამება საპროექტო მოთხოვნებს.**

ხელსაწყო Elcometer 331 Covermeters-ის საშუალებით, ურღვევი კონტროლის მეთოდით, გამოკვლეული იქნა ბლოკი C3-ის რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაარმატურების პარამეტრები. განისაზღვრული იქნა მონოლითური რკინაბეტონის კედლებში სართულშუა გადახურვის ფილებში, სვეტებში, კედლებში, დიაფრაგმებში და რიგელებში (სურ. 54, 55, 56, 57, 58, 59, 60) არმატურის დიამეტრები, მათი განლაგების სქემები და ბეტონის დამცავი შრის სისქე. **გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში არსებული მრავალბინიანი, მარვალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები დაარმატურებულია პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად.**

უნდა აღინიშნოს, რომ ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლეული იქნა C3 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების საერთო რაოდენობის 20% - ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს [1-დანართი 3]-ის დანართი 2, პუნქტი 3-ის მოთხოვნებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, C3 ბლოკის მზიდი კონსტრუქციები არ არის დაზიანებული, გამონაკლისს წარმოადგენს რამოდენიმე უბანი, სადაც აღინიშნება უმნიშვნელო (ზედაპირული) დაზიანებები, რომლებიც არავითარ გავლენას არ ახდენს შენობის მზიდუნარიანობაზე. ამიტომ **გამოსაკვლევი ობიექტის C3 ბლოკის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები).**

გამოსაკვლევი შენობის C3 ბლოკის მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციები ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას [7].

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ამრიგად, ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.07.002.097) შენობის C3 ბლოკის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები შესრულებულია პროექტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ნაგებობა მდგრადია სტატიკური და სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ.

9. გამოკვლევის შედეგები

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) შენობის C1, C2 და C3 ბლოკების მზიდი კონსტრუქციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა:

1. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილში უკლებლივაა გათვალისწინებული ყველა ის ცვლილება და დარღვევა, რომლებიც გამოვლენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ და ასახულია დადგენილებაში №002454, 23.07.2024წ (იხ. დანართი 3);
2. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემოწმდა გამოსაკვლევი ობიექტის C1, C2 და C3 ბლოკების მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების (სვეტები, რიგელები, სართულშუა გადახურვის ფილები, დიაფრაგმები და კედლები) გეომეტრიული ზომები. დადგინდა, რომ შენობის კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრია შესაბამისობაშია საპროექტო მონაცემებთან (იგულისხმება კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი);
3. მარვალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები დაარმატურებულია პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად;
4. მარვალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი, რაც შეესაბამება საპროექტო მოთხოვნებს.
5. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოსაკვლევი შენობის მზიდი კონსტრუქციები არ არის დაზიანებული, გამონაკლისს წარმოადგენს რამოდენიმე უბანი, სადაც აღინიშნება უმნიშვნელო (ზედაპირული) დაზიანებები, რომლებიც არავითარ გავლენას არ ახდენს შენობის მზიდუნარიანობაზე. ამიტომ მარვალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები);

6. გამოსაკვლევი შენობის მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციები ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას [7];
7. ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებარე მარვალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობა მდგრადია, როგორც სტატიკური ასევე სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ. ნაგებობის ცალკეული ბლოკების რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტები და მათი დაარმატურების პარამეტრები აკმაყოფილებს სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს;
8. აქედან გამომდინარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დარღვევებით ნაწარმოები ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა განხორციელებულია საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების სრული დაცვით. შესაბამისად შენობა მდგრადია როგორც სტატიკური, ასევე სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ.

10. საექსპერტო დასკვნა

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ქ. თბილისში, აგლაძის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მონოლითური რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის შედეგების და საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა:

მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები შესრულებულია მუშა პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების სრული დაცვით. შენობა მდგრადია, როგორც სტატიკური, ასევე სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ. აქედან გამომდინარე მას ეძლევა დადებითი შეფასება.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 13



სურათი 14



სურათი 15



სურათი 16



სურათი 17



სურათი 18

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 19



სურათი 20



სურათი 21



სურათი 22



სურათი 23



სურათი 24

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 25



სურათი 26



სურათი 27



სურათი 28



სურათი 29



სურათი 30

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 31



სურათი 32



სურათი 33



სურათი 34



სურათი 35



სურათი 36

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 37



სურათი 38



სურათი 39



სურათი 40



სურათი 41



სურათი 42

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com



სურათი 43



სურათი 44



სურათი 45



სურათი 46



სურათი 47



სურათი 48

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
